ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5024977

ნომერი: AR1754575

თარიღი : 17.06.2020

გაცემის თარიღი : 14.07.2020

გაცნობის თარიღი : 15.07.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქეთევან წამებული , N 57;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი საყვარელიძე პ/ნ 01030016751
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 53ა ბ. 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 17 ივნისს №AR1754575 განცხადებით მომართა გიორგი საყვარელიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020

წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანებით შეთანხმდა, ქალაქ თბილისში, გამზირი ქეთევან წამებული, №57-ში, №01.17.13.041.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური (საცხოვრებელი - სასტუმრო) კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2020 წლის 6 აპრილის №4921990 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და ჩანაცვლდა არქიტექტურული გეგმები.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ განმცხადებელს სურს საოფისე ფართობად 142.7 კვ.მ-ის ნაცვლად 118.9 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 599.6 კვ.მ-ის ნაცვლად 597.7 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1644.5 კვ.მ-ის ნაცვლად 3045.0 კვ.მ-ის, სასაწყობე ფართობად 260.1 კვ.მ-ის ნაცვლად 37.7 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 863.1 კვ.მ-ის ნაცვლად 877.3 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 17567.6 კვ.მ-ის ნაცვლად 18734.2 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა წარმოდგენილ გეგმა ნახაზებს და დაადგინა, რომ 2020 წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანებაში საოფისე ფართობი უნდა იყოს 118.9 კვ.მ., კომერციული ფართობი - 597.7 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 3045.0 კვ.მ., სასაწყობე ფართობი - 37.7 კვ.მ., დამხმარე ფართობი - 877.3 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობი - 18734.2 კვ.მ. ამასთან, გეგმარება არ იცვლება უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანებაში და საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 118.9 კვ.მ., კომერციული ფართობად - 597.7 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 3045.0 კვ.მ., სასაწყობე ფართობად- 37.7 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 877.3 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად - 18734.2 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.